

სს მისო ინვესტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
და
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

| | |
|---|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა | 1 |
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 2 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 5 |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება | 6 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 7 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 8 |

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

| | |
|--|----|
| 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა | 9 |
| 2 კომპანიის საოპერაციო გარემო | 9 |
| 3 მომზადების საფუძველი | 9 |
| 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა | 10 |
| 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები | 17 |
| 6 ფული და ფულის ეკვივალენტები | 17 |
| 7 გაცემული სესხები | 18 |
| 8 ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება | 21 |
| 9 არამატერიალური აქტივები | 22 |
| 10 გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები | 23 |
| 11 გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება | 23 |
| 12 ინვესტიციები სხვა საწარმოში | 24 |
| 13 სხვა აქტივები | 24 |
| 14 მიღებული სესხები | 24 |
| 15 საიჯარო ვალდებულებები | 24 |
| 16 სააქციო კაპიტალი | 25 |
| 17 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 25 |
| 18 უიმედო ვალების ხარჯი | 26 |
| 19 ფინანსური რისკების მართვა | 26 |
| 20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები | 30 |
| 21 კაპიტალის ადეკვატურობა | 31 |
| 22 დაკავშირებული მხარეები | 31 |
| 23 პირობითი ვალდებულებები | 32 |
| 24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა | 32 |
| 25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები | 32 |

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მისო ინვესტ ჯორჯია-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 2 აპრილი, 2020



მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს მისო ინვესტ ჯორჯია-ს მენეჯმენტს****უარყოფითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს "მისო ინვესტ ჯორჯია"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ არ განახორციელა შპს "უნივერსალ სერვისი"-ის კონსოლიდაცია, რომლის 55%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს 2013 წლიდან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სს "მისო ინვესტ ჯორჯია" ვალდებული იყო, განეხორციელებინა შპს "უნივერსალ სერვისი"-ის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია. თუ შპს "უნივერსალ სერვისი" კონსოლიდირებული იქნებოდა, ეს არსებით გავლენას იქონიებდა თანდართული ფინანსური ანგარიშგების მრავალ ელემენტზე. კონკრეტულად არ დაგვიდგენია, რა გავლენა იქონია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ ფაქტმა, რომ არ მოხდა შპს "უნივერსალ სერვისი"-ის კონსოლიდაცია.

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შესაბამისაა ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია იყენებს ეროვნული ბანკის მიხედვით დადგენილ ვადაგადაცილებულ სესხებზე დაწესებულ სტანდარტულ განაკვეთებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging) რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმებს როგორც არის, საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურისაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწერებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს როგორც არის სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD) ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისმხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას რომელიც ფასს 9-ის ერთ ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე რომ კომპანია ბოლო წლებში განიცდის მნიშვნელოვან საოპერაციო ზარალებს. აღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, მომავალში საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 19.1 და 19.2 შენიშვნებზე, სადაც აღწერილია კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები 2019 წლის 31 დეკემბრისათვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.“

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ზემომდევანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგვემათ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვათაგან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011



თარიღი: 2 აპრილი, 2020

თბილისი, საქართველო

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|--|----------|------------------|--------------------|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 98,637 | 267,408 |
| გაცემული სესხები | 7 | 86,834 | 1,705,843 |
| ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება | 8 | 53,651 | 19,078 |
| არამატერიალური აქტივები | 9 | 745 | 1,864 |
| გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები | 10 | 90,276 | 132,377 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 11 | 38,771 | 108,740 |
| საგადასახადო აქტივები | | 48,859 | 51,444 |
| სხვა აქტივები | 13 | 13,922 | 15,054 |
| სულ აქტივები | | 431,695 | 2,301,808 |
| ვალდებულებები | | | |
| მიღებული სესხები | 14 | 655,075 | 3,443,687 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | | - | 45,116 |
| საიჯარო ვალდებულებები | 15 | 45,000 | - |
| სხვა ვალდებულებები | | 4,991 | 10,579 |
| სულ ვალდებულებები | | 705,066 | 3,499,382 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 1,632,500 | 600,000 |
| გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | | (1,905,871) | (1,797,574) |
| სულ კაპიტალი | | (273,371) | (1,197,574) |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 431,695 | 2,301,808 |

თამარ კუპრეიშვილი
 დირექტორი
 სს მისო ინვესტ ჯორჯია
 თარიღი: 2 აპრილი, 2020

 მიხეილ კობილოვი
 მთავარი ბუღალტერი
 სს მისო ინვესტ ჯორჯია

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2019 | 2018 |
|--|----------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი | | 482,311 | 729,665 |
| საპროცენტო ხარჯი | | (196,890) | (380,385) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 285,421 | 349,280 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | | 10,883 | 37,663 |
| სხვა შემოსავალი | | 29,629 | - |
| საოპერაციო შემოსავალი | | 325,932 | 386,943 |
| საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 17 | (259,976) | (270,114) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (27,350) | (4,971) |
| უიმელო ვალების ხარჯი | 18 | (404,338) | (47,721) |
| სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი) | | 259,695 | (713,263) |
| მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | | 71,176 | 35,939 |
| მოგება დაბეგვრამდე | | (34,861) | (613,187) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 11 | (69,969) | (16,103) |
| მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი) | | (104,830) | (629,290) |
| სხვა სრული შემოსავლები | | - | - |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები) | | (104,830) | (629,290) |

თამარ კუპრეიშვილი
 დირექტორი



მიხეილ კიბილოვი
 მთავარი ბუღალტერი



სს მისო ინვესტ ჯორჯია

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 2 აპრილი, 2020

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| შენიშვნა | 2019 | 2018 |
|---|--------------------|-----------------|
| სესხის დასაფარად შემოსული თანხები | 2,450,528 | 1,511,926 |
| გადახდილი პროცენტი | (647,298) | (161,510) |
| გაცემული სესხები | (181,567) | (889,499) |
| გადახდილი ხელფასები | (143,364) | (141,696) |
| გადახდილი გადასახადები | (112,016) | (34,403) |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | (31,425) | (3,559) |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები | (27,984) | (23,925) |
| გადახდილი იჯარა | (21,279) | (25,300) |
| დაზღვევის ხარჯი | (7,037) | (7,306) |
| კომუნალური ხარჯები | (5,684) | (5,382) |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | (4,595) | (1,794) |
| სხვა ხარჯები | (17,012) | (80,405) |
| სხვა შემოსავლები | 10,003 | 46,359 |
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | 1,261,270 | 183,506 |
| საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები | 667 | 279 |
| გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა | 80,000 | - |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | 80,667 | 279 |
| მიღებული სესხები | 267,744 | 468,115 |
| დაფარული სესხები | (1,776,606) | (509,636) |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან | (1,508,862) | (41,521) |
| საკურსო სხვაობის შედეგი | (1,846) | 8,887 |
| წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება) | (166,925) | 142,264 |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 267,408 | 116,257 |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს | 6 | 267,408 |

თამარ კუპრეიშვილი
 დირექტორი
 სს მისო ინვესტ ჯორჯია

მეზღვრი მიხეილ კიბილოვი
 მთავარი ბუღალტერი
 სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 2 აპრილი, 2020

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|------------------|----------------------|--------------------|
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 600,000 | (1,168,284) | (568,284) |
| წმინდა ზარალი 2018 წლისთვის | - | (629,290) | (629,290) |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 600,000 | (1,797,574) | (1,197,574) |
| ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში- ფასს 16 | - | (3,467) | (3,467) |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ | 600,000 | (1,801,040) | (1,201,040) |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | 1,032,500 | - | 1,032,500 |
| წმინდა ზარალი 2019 წლისთვის | - | (104,830) | (104,830) |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 1,632,500 | (1,905,870) | (273,371) |



თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 2 აპრილი, 2020



მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

სს მისო ინვესტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს მისო ინვესტ ჯორჯია-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

სს მისო ინვესტ ჯორჯია დარეგისტრირდა 2010 წლის 12 აგვისტოს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. № 33.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანიას აქვს 2 ფილიალი თბილისსა და ზუგდიდში. დადგენილია სესხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 100,000 ათას ლარს.

სს მისო ინვესტ ჯორჯია-ს აქციონერები არიან:

| აქციონერები | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|---------------------|------------------|------------------|
| კლარკსონი მეთიუ ჯონ | 70.00% | 70.00% |
| ნოდია ლაშა | 0.00% | 15.00% |
| ხარბედია რუსუდანი | 30.00% | 15.00% |
| | 100.00% | 100.00% |

შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000 ლარი და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფას-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100 ათას ლარზე მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორც საქართველოშია, ძალიან მგრძობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2016 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs)

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, რომლებმაც იქონიეს მატერიალური გავლენა კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე. თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამორტიზაციო ანარცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.2 სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

- ა) *არსებითობის განმარტება - შესწორებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში;*
- ბ) *ბიზნესის განმარტება - შესწორებები ფასს 3-ში;*
- გ) *შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში;*
- დ) *აქტივების რეალიზაცია ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში - შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში;*
- ე) *ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა.*

4.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: საღაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებს.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ, რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

4.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწვევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოადგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| აქტივების ჯგუფი | ცვეთის განაკვეთი |
|---------------------------|-------------------------|
| კომპიუტერული ტექნიკა | 10% |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10% |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 10%-20% |

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.5 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაინიშნება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანია არამატერიალური აქტივების ამორტიზაციას ახდენს 10%-იანი განაკვეთით. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საქსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაინიშნება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საქსპლუატაციო ვადით გადაინიშნება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საქსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საქსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განუსაზღვრელი საქსპლუატაციო ვადით.

4.7 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები შედგება კომპანიის მიერ დასაკუთრებული უზრუნველყოფის ღირებულებისგან, რომელიც კომპანიამ მიიღო მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის შედეგად. უზრუნველყოფა შეიძლება იყოს მიწა, შენობა, სახლი, საცხოვრებელი ბინა.

კომპანია დასაკუთრებული უზრუნველყოფის გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივად კლასიფიკაციას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ მისგან მოელის საბალანსო ღირებულების ამოღებას მისი გაყიდვით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა ღირებულება მოსალოდნელი უნდა იყოს. იმისათვის, რომ გაყიდვა ღირებულება მოსალოდნელი იყოს, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს აქტივის აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც გონივრულია ამ აქტივის რეალური ღირებულების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, გეგმის დასრულებისათვის საჭირო საქმიანობა იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის.

თუ უზრუნველყოფის გაყიდვა არ არის განზრახული, მისი აღიარება ხდება ძირითად საშუალებებში ან საინვესტიციო ქონებაში, იმის მიხედვით თუ როგორ გეგმავს კომპანია მის გამოყენებას და მისი ხელახლა გაზომვა და აღრიცხვა ხდება შესაბამისი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანია აფასებს გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის თანხებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.8 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრი) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებსთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგრის მომენტის გადატანა მოგების გამოშუქების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა-15%-იანი მოგების გადასახადით.

4.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4.10 იჯარა

განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყებიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

საიჯარო ვალდებულება

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.10 იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ კომპანია გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ კომპანია გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადაზე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის ვადაზე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

კომპანია გადავიდა ფასს-16 ზე 2019 წლის 1 იანვრიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე ფასს-16 ზე გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მიცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში.

ფასს 16-ის დანერგვის გავლენა

1-იანვარი-2019

| | |
|---|----------------|
| აქტივის გამოყენების უფლება | 62,588 |
| საიჯარო ვალდებულებები | (66,055) |
| სულ გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე: | (3,467) |

4.11 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

4.12 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ხარჯით.

4.13 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.14 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებინება პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე.

4.15 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|------------|------------------|------------------|
| აშშ დოლარი | 2.8677 | 2.6766 |
| ევრო | 3.2095 | 3.0701 |

4.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სს მისო ინვესტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

სესხის გაუფასურების ხარჯი - კომპანია სესხების და მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით

| | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|--------------------|------------------|------------------|
| ქართული ლარი (GEL) | 18,548 | 109,213 |
| აშშ დოლარი (USD) | 80,089 | 158,195 |
| სულ | 98,637 | 267,408 |

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად ფიზიკურ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრივობით. ძირითადად კომპანია სესხებს გასცემს ლარში 1 თვიდან 10 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 19 პროცენტიდან 43 პროცენტამდე. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 2 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით და ანუიტეტის პრინციპით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტომობილით, თავდებობით თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

| | შენიშვნა | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|------------------------------------|------------|------------------|------------------|
| იპოთეკური სესხი | | 651,359 | 998,805 |
| ბიზნეს სესხი | | 552,926 | 1,072,717 |
| სამომხმარებლო სესხი | | 1,275,681 | 1,826,550 |
| დარიცხული პროცენტი | | 615,807 | 1,076,405 |
| მილიანი გაცემული სესხები | 7.1 | 3,095,773 | 4,974,477 |
| <i>ძინუს: გაუფასურების რეზერვი</i> | 7.4 | (3,008,939) | (3,268,634) |
| წმინდა გაცემული სესხები | | 86,834 | 1,705,843 |

სასესხო პორტფელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

| | 31-დეკ-19 | | 31-დეკ-18 | |
|-----------------------------|------------------|-------------|------------------|-------------|
| სამომხმარებლო სესხები | 2,085,339 | 84% | 3,296,941 | 85% |
| ვაჭრობა და მომსახურება | 363,658 | 15% | 390,953 | 10% |
| სოფლის მეურნეობა | 30,969 | 1% | 210,179 | 5% |
| სულ სასესხო პორტფელი | 2,479,966 | 100% | 3,898,073 | 100% |

სასესხო პორტფელი სემენტაციის მიხედვით

| | 31-დეკ-19 | | 31-დეკ-18 | |
|-----------------------------|------------------|-------------|------------------|-------------|
| ფიზიკური პირები | 2,369,525 | 96% | 3,716,880 | 95% |
| იურიდიული პირები | 110,441 | 4% | 181,193 | 5% |
| სულ სასესხო პორტფელი | 2,479,966 | 100% | 3,898,073 | 100% |

სს მისო ინვესტ ჯორჯია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

| | | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|---------------------------------|---------------|------------------|------------------|
| სესხის ძირი | 7.2; 7.3; 7.4 | 2,479,966 | 3,898,073 |
| დარიცხული პროცენტი | | 615,807 | 1,076,405 |
| მთლიანი სასესხო პორტფელი | | 3,095,773 | 4,974,478 |

7.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

| | 31-დეკ-19 | 31-დეკ-18 |
|---------------------------------|------------------|------------------|
| 1 წელზე ნაკლები | 1,012,549 | 2,774,521 |
| 1-დან 3 წლამდე | 827,354 | 591,060 |
| 3-დან 5 წლამდე | 365,611 | 266,480 |
| 5 წელზე მეტი | 274,452 | 266,012 |
| სულ გაცემული სესხის ძირი | 2,479,966 | 3,898,073 |

7.3 უზრუნველყოფის ანალიზი

კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა). თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

| | 31-დეკ-19 | | 31-დეკ-18 | |
|---------------------|-----------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------------|
| | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * |
| იპოთეკური სესხი | 651,359 | 394,526 | 998,805 | 210,178 |
| ბიზნეს სესხი | 552,926 | 147,622 | 1,072,718 | 390,952 |
| სამომხმარებლო სესხი | 1,275,681 | 772,676 | 1,826,550 | 3,115,748 |
| სულ | 2,479,966 | 1,314,824 | 3,898,073 | 3,716,878 |

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

შენიშვნა 7 გაცემული სესხები (გაგრძელება)

7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი

მენეჯმენტს მიზანშეწონილად მიაჩნია სესხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობის მიხედვით საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. ამასთან მენეჯმენტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანების მიხედვით სესხების დარეზერვების პოლიტიკას. ამ რეზერვის დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ვადაგადაცილებული დღეები | რეზერვის პროცენტი | სესხის თანხა | რეზერვის თანხა |
|-------------------------|-------------------|------------------|------------------|
| 0-30 | 0% | 56,235 | - |
| 30-60 | 10% | 21,944 | 6,583 |
| 60-90 | 10%-30% | 15,806 | 6,707 |
| 90-120 | 30% | 11,840 | 5,921 |
| 120-150 | 30%-50% | 6,057 | 5,856 |
| 150-180 | 50% | 6,078 | 6,078 |
| 180< | 100% | 2,977,813 | 2,977,794 |
